

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2013 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე..... 3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 4

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 7
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება..... 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. ახალი ფასს-ების მიღება 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 14
5. შესადარისი ინფორმაცია 18
6. საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) 19
7. ანაღრიცხვები საეჭვო სესხებზე..... 19
8. სხვა შემოსავალი, ნეტო 19
9. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი) 19
10. ზღვრები და ბონუსები 20
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20
12. გაუთვალისწინებელი ხარჯი 20
13. მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი..... 20
14. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 21
15. კლიენტებზე გაცემული სესხები 21
16. საინვესტიციო ქონება 23
17. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 24
18. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი 25
19. მიღებული სესხები..... 26
20. სხვა ვალდებულებები 26
21. სააქციო კაპიტალი..... 26
22. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა 26
23. კაპიტალის მართვა..... 30
24. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან 30

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობები, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგროს“ (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებს, ფულადი ნაკადის მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).



ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამორჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით 2014 წლის 6 აგვისტოს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი		ა. ახალბედაშვილი
ფინანსური დირექტორი		ე. ნანოშვილი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგროს“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგროს“ (შემდგომში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს პირობითი დასკვნის გასაცემად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

როგორც ეს მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნაში, ორგანიზაციის საექვო ვალების ანარიცხები 2012 წლის 1 იანვარისთვის შეადგენს 520,562 ლარს. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება, მოგვეპოვებინა საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება საექვო ვალების ანარიცხების სისწორის შესახებ მოცემული თარიღისათვის, რაც გავლენას ახდენს 2012 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილ უიმედო და საექვო ვალების ანარიცხის ხარჯზე (468,991 ლარი) და მოგების გადასახადის სარგებელზე (297,180 ლარი). შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ იყო თუ არა აუცილებელი კორექტირებები მოცემული თანხებისთვის.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორგანიზაციამ განახორციელა მთელი რიგი გადაანგარიშებები გასულ პერიოდში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში (შენიშვნა 5). ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ ითხოვს, რომ გასულ პერიოდებში აღმოჩენილი შეცდომების გასწორებისას, ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს კორექტირებების ეფექტი შესადარისი პერიოდის საწყის ნაშთებზე, რაც ორგანიზაციას არ განუხორციელებია.

პირობითი დასკვნა

ჩვენი აზრით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინანგროს“ ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სხვა გარემოება

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წინა პერიოდი, გარდა იმ კორექტირებებისა რომელიც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, ეყრდნობა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას რომლის აუდიტიც ჩაატარეს სხვა აუდიტორებმა და 2013 წლის 13 მარტს გაცემული დასკვნის თანახმად გამოიტანეს უპირობო მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ განვახორციელეთ მე-5 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის კორექტირებების აუდიტი და ვთვლით, რომ პირობითი დასკვნის აზნაგში მოცემული საკითხების გარდა ისინი მართებულად და სათანადოდ არის გამოყენებული. ზემოთხსენებული კორექტირებების გარდა ჩვენ არ ვიყავით ჩართული 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში და არ გამოვთქვავთ მოსაზრებას ან რაიმე სახის რწმუნებას 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 აგვისტო, 2014

თბილისი, საქართველო

შპს ბილიო

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)


	შენიშვნა	2013	2012 (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	6	1,112,752	1,478,606
საპროცენტო ხარჯი	6	(61,433)	(78,061)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,051,319	1,400,545
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	7	(353,764)	(468,991)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საეჭვო სესხების ანარიცხების შემდეგ		697,555	931,554
სხვა შემოსავალი, ნეტო	8	77,277	19,298
კურთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი)	9	84,455	(30,961)
ხელფასები და ბონუსები	10	(550,064)	(555,333)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(252,229)	(303,834)
გაუთვალისწინებელი ხარჯი	12	-	(2,119,095)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		56,994	(2,058,371)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	13	(11,919)	297,180
წმინდა მოგება/(ზარალი)		45,075	(1,761,191)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ხარჯი)		45,075	(1,761,191)

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

10 – 30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარებში)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
აქტივები			(გადაანგარიშებული)
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	712,726	558,530
კლიენტებზე გაცემული სესხები	15	3,899,909	4,203,175
საინვესტიციო ქონება	16	80,124	50,997
ძირითადი საშუალებები	17	145,559	173,644
არამატერიალური აქტივები	17	35,985	40,562
სხვა აქტივები		8,411	22,131
მიმდინარე მოგების გადასახადი		105,804	105,931
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	18	338,977	350,896
		5,327,495	5,505,866
კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	19	2,233,595	2,474,310
სხვა ვალდებულებები	20	25,367	8,098
		2,258,962	2,482,408
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	3,671,370	3,671,370
დაუფარავი ზარალი		(602,837)	(647,912)
		3,068,533	3,023,458
		5,327,495	5,505,866

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

10 – 30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

(ლარებში)


	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)		3,671,370	1,113,278	4,784,648
საანგარიშგებო პერიოდის სრული ზარალი		-	(1,761,190)	(1,761,190)
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის (გადაანგარიშებული)	21	3,671,370	(647,912)	3,023,458
საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი		-	45,075	45,075
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	21	3,671,370	(602,837)	3,068,533

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

10 – 30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინავრო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)


	შენიშვნა	2013	2012 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		56,994	(2,058,371)
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	16,17	51,980	54,744
საპროცენტო შემოსავალი	6	(1,112,752)	(1,478,606)
საპროცენტო ხარჯი	6	61,433	78,061
საექვო სესხების ანარიცხების ხარჯი	7	353,764	468,991
საკურსო სხვაობით წარმოშობილი ზარალი/(მოგება)	9	(84,455)	30,961
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(2,378)	(2,779)
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(26,550)	(1,450)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(701,964)	(2,908,449)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
კლიენტებზე გაცემული სესხების შემცირება		429,990	1,865,301
სხვა აქტივების შემცირება		13,696	171,502
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		17,269	(5,684)
მიღებული სესხების ზრდა		66,915	176,789
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტები		527,870	2,207,908
გადახდილი პროცენტები		807,982	1,155,885
გადახდილი მოგების გადასახადი		(66,788)	(83,286)
		-	(105,931)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		567,100	266,127
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(17,677)	(5,366)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		4,690	10,600
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(44,378)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(62,530)	(18,851)
საინვესტიციო ქონების გაყიდვა		56,000	4,950
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,517)	(53,045)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		-	2,000,000
სესხების გადახდა		(392,867)	(2,340,072)
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(392,867)	(340,072)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		154,716	(126,990)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	14	558,530	686,457
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი	9	(520)	(937)
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	14	712,726	558,530

გენერალური დირექტორი



ა. ახალბედაშვილი

ფინანსური დირექტორი



ე. ნანოშვილი

10 – 30 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“ (შემდგომში ორგანიზაცია) დაფუძნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მიერ 2007 წლის 15 ნოემბერს. ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3,671,370 ლარს, ხოლო აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. თითოეული ფილიალის ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს მმართველი, რომელსაც ნიშნავს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის წარდგინებით.

ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს და დააფინანსოს უპირატესად საქართველოს სასოფლო სამეურნეო სფეროში მოღვაწე ფერმერებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავების, რეალიზაციის, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.

ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა მიკრო სესხების გაცემა. ორგანიზაციის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, მშვიდობის გამზირი №1 ა.

ორგანიზაციას აქვს სათაო ოფისი (გორი) და ოთხი რეგიონალური ფილიალი (თელავი, წნორი, მარნეული, ზესტაფონი).

ორგანიზაციაში 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუშაობდა 39 თანამშრომელი (2012 – 40 თანამშრომელი).

2. ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2013 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2013 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მთელი რიგი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები. ყველა ახალი სტანდარტის, ინტერპრეტაციის და შესწორების ბუნება და ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე განხილულია ქვემოთ:

ბასს 1 „შესადარის ინფორმაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაზუსტება“ შესწორება ბასს 1-ში

აღნიშნული შესწორება აზუსტებს განსხვავებას ნებაყოფლობით დამატებით წარდგენილ შესადარის ინფორმაციასა და მინიმალურ მოთხოვნილ შესადარის ინფორმაციას შორის. საწარმომ უნდა წარადგინოს შესადარის ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებში, თუ ის ნებაყოფლობით აწვდის აღნიშნულ შესადარის ინფორმაციას მინიმალური მოთხოვნილი შესადარისი პერიოდის გარდა.

შესწორება ასევე აზუსტებს, რომ საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესადარის ინფორმაცია, რომელიც წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების მუხლების რეტროსპექტული გადაანგარიშების ან რეკლასიფიკაციის შედეგად არ არის საჭირო წარსდგეს შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

აღნიშნულ ცვლილებას არ ქონია გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“

ფასს 10 ცვლის ბასს 27-ს (2008) „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ და იმკ 12-ს „კონსოლიდაცია - სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“ და წარადგენს ერთი „კონტროლის მოდელს“ ყველა საწარმოსთვის სპეციალური დანიშნულების საწარმოების ჩათვლით. ფასს 10-ის თანახმად კონტროლი არსებობს, როდესაც შემდეგი პირობები სრულდება:

- გავლენა ინვესტიციაზე
- არსებობს ზეგავლენა ან უფლებები ინვესტიციის ცვალებად უკუგებაზე
- შესაძლებელია ძალაუფლების გამოყენება ინვესტიციის უკუგებაზე ზეგავლენის მოსახდენად.
-

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

2.ახალი ფასს-ების მიღება (გაგრძელება)

ფასს 10-ით წარმოდგენილი სხვა ცვლილებები მოიცავს:

- „დე-ფაქტო“ კონტროლის კონცეფციის შემოტანა საწარმოში იმ მესაკუთრის მიერ, რომლის წილიც 50%-ზე ნაკლებია, მაგრამ რომელსაც აქვს სხვა აქციონერებთან შედარებით მეტი აქციები.
- პოტენციური ხმის უფლება გაითვალისწინება კონტროლის არსებობის განსაზღვრისას მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებითია (მესაკუთრეს აქვს გამოყენების პრაქტიკული გამოცდილება) და უფლებები არის გამოყენებადი მაშინ, როცა საინვესტიციო აქტივობასთან დაკავშირებული ისეთი გადაწყვეტილება მიიღება ან შეიძლება იქნას მიღებული, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტიციის უკუგებაზე.
- სპეციალური სახელმძღვანელო სპეციფიკური აქტივების კონტროლის კონცეფციისთვის, როდესაც აქტივების (და ვალდებულებების) ჯგუფები ერთ საწარმოში შეზღუდულია და ყველა ჯგუფი გათვალისწინებული უნდა იქნას კონსოლიდაციისთვის ცალკე.

აღნიშნულ ცვლილებას არ ქონია გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 11 „ერთობლივი შეთანხმებები“

ფასს 11 ცვლის ბასს 31-ს „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“ და იმკ 13 „ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები - კონტროლის უფლების მქონე ინვესტორების არაფულადი შენატანები“ და მოითხოვს, რომ ერთობლივი შეთანხმებები კლასიფიცირებულ იქნას შემდეგნაირად:

- ერთობლივი ოპერაციები, სადაც მხარეებს ერთობლივი კონტროლით აქვთ უფლებები აქტივებზე და მოვალეობები ვალდებულებებზე, ან
- ერთობლივი ოპერაციები, სადაც მხარეებს ერთობლივი კონტროლით აქვთ უფლებები ინვესტიციის წმინდა აქტივებზე.

ერთობლივი შეთანხმებები, რომლებიც სტრუქტურითაა ცალკეული მექანიზმის სახით განხილულ იქნება, როგორც ერთობლივი საწარმო, თუ საკონტრაქტო შეთანხმებები ან სხვა ფაქტორები და პირობები არ მიგვითითებს, რომ მხარეებს აქვთ უფლებები აქტივებზე და მოვალეობები ვალდებულებებზე, ნაცვლად უფლებებისა წმინდა აქტივებზე.

ერთობლივი საწარმოები აღრიცხვას აწარმოებენ კაპიტალ მეთოდით (პროპორციული კონსოლიდაცია არ არის ნებადართული ფასს 11-ით).

მხარეები ერთობლივ ოპერაციებში აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების წილს აღრიცხავენ კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად.

აღნიშნულ ცვლილებას არ ქონია გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 12 სხვა საწარმოებში წილის განმარტებითი შენიშვნები

ფასს 12 ადგენს მოთხოვნებს განმარტებით შენიშვნებთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს წილთან შვილობილ კომპანიებში, ერთობლივ საქმიანობაში, მეკავშირე და სტრუქტურითაა ცალკეული საწარმოებში. სტანდარტი მოითხოვს, რომ საწარმომ განმარტებით შენიშვნებში მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რომელიც დაეხმარება მათ სხვა საწარმოებთან ურთიერთობის ფინანსური ეფექტის და ბუნების შეფასებაში.

აღნიშნულ ცვლილებას არ ქონია გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 13 რეალური ღირებულების განსაზღვრა

ფასს 13 ადგენს ძირითად მოთხოვნებს რეალური ღირებულების განსაზღვრასა და განმარტებით შენიშვნებში რეალური ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ ინფორმაციათან მიმართებაში, როდესაც რეალური ღირებულების განსაზღვრა და/ან განმარტებითი შენიშვნები მოითხოვება ან ნებადართულია სხვა ფასს-ებით.

შედეგად, რეალური ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები და მოთხოვნები, რომლებიც ადრე სხვა ფასსებში იყო წარმოდგენილი, ახლა თავს იყრის ფასს 13-ში.

მაშინ, როდესაც აღინიშნება წინა სახელმძღვანელოების გამეორება, რეალური ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში შეტანილ იქნა მხოლოდ მცირე ცვლილებები. ფასს 13 განკუთვნილია განსაზღვრის მიზნების დასაზუსტებლად, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

2.ახალი ფასს-ების მიღება (გაგრძელება)

ჰარმონიზაციისა და რეალური ღირებულების გასაზღვრის გამოყენების თანმიმდევრულობის გაუმჯობესებისათვის.

ფასს 13 არ ახდენს არსებით ზეგავლენას ორგანიზაციის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების განსაზღვრაზე, მცირედით ცვლის მოთხოვნებს წარდგენასა და განმარტებით შენიშვნებზე, შესაბამისად არ აქვს გავლენა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.

ბასს 19 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები (შესწორებულია 2011 წელს)

ბასს 19-ის გადასინჯვის შედეგად ძირითადი ცვლილებები მოიცავს:

- გადავადებული მოგება/ზარალისთვის განსაზღვრული სარგებლის გეგმებისთვის „კორიდორის“ მიდგომის აღმოფხვრას
- განსაზღვრული სარგებლიანობის გეგმების ვალდებულება/აქტივების გადაანგარიშებაზე მიღებულ აქტუარული შემოსულობა/ზარალს, რომელიც აღიარებულ უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში მეტად, ვიდრე მოგება ზარალში და არ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს მომდევნო პერიოდებში
- ცვლილებებს სარგებლის შეწყვეტის ვალდებულების აღიარების მომენტისათვის
- თანამშრომელთა გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მოსალოდნელია („სავალდებულო გადასახდელების“ საპირისპიროდ) საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში, არის მოკლევადიანი და არ დისკონტირდება.

ბასს 19-ში მოცემულ ცვლილებებს არ ქონდა გავლენა კორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან კორგანიზაციას არ გააჩნია სხვა თანამშრომელთა გასამრჯელოების არანაირი თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და დამატებებს, რომლებიც არაა ძალაში შესული და გათვალისწინებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, მომავალში ექნება ან შეიძლება ქონდეს გავლენა მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე:

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 „ ფინანსური ინსტრუმენტები“ არეგულირებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციას, აღიარებასა და შეფასებას. ფასს 9 გამოცემულ იქნა 2009 წლის ნოემბერსა და 2010 წლის დეკემბერში. იგი ცვლის ბასს 39-ის ნაწილს, რომელიც ეხება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებას. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ორ შეფასებით კატეგორიად: ამორტიზებული ღირებულებითა და რეალური ღირებულებით აღრიცხული. ამის განსაზღვრა ხდება საწყისი აღიარებისას. ფინანსური ვალდებულებებისთვის სტანდარტში ძირითადად დატოვებულია ბასს 39-ის მოთხოვნები. მთავარი ცვლილება არის ის, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური ვალდებულება ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილება, როგორც საწარმოს საკრედიტო რისკი, აღირიცხება სხვა სრულ შემოსავლებში უფრო მეტად, ვიდრე შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ეს არ ქმნის სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 21 გადასახადები

მოცემული ფაისკ აწესებს აღრიცხვის მიდგომებს იმ გადასახადებთან დაკავშირებით, რომელიც არ წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადს. ინტერპრეტაცია ეხება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობ შემთხვევებს და შესაბამისი ვალდებულების აღიარების დროს.

ორგანიზაციას არ გააჩნია არსებითი აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებები, შესაბამისად მოცემულ ფაისკს არსებითი გავლენა არ ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აღდგენითი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები არაფინანსური აქტივებისათვის - ცვლილებები ფასს 36-ში „აქტივების გაუფასურება“

აღნიშნული ცვლილებები ანაცვლებენ ფასს 13-ის გაუთვალისწინებელ შემთხვევებს განმარტებით შენიშვნებზე, რომელიც ფასს 36-ით მოითხოვება.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

2.ახალი ფასს-ების მიღება (გაგრძელება)

ამას გარდა, ცვლილებები მოითხოვს აღდგენითი ღირებულების განმარტებით შენიშვნებს აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომლისათვისაც გაუფასურების ზარალი არის აღიარებული ან შეცვლილი პერიოდის განმავლობაში. ეს ცვლილებები ძალაშია რეტროსპექტულად საანგარიშგებო პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2014 წლის პირველ იანვარს ან მოგვიანებით ადრეული გამოყენების უფლებით იმ პირობით, რომ ასევე გამოყენებულია ფასს 13.

ორგანიზაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **მოგების გადასახადი.** ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ორგანიზაცია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ორგანიზაციას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ორგანიზაციას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. ორგანიზაციას სჯერა, რომ ყველა აუდიტირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.
- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **სასამართლო დავები.** ფასს-ების მიხედვით, ორგანიზაცია აღიარებს პირობით ვალდებულებებს იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი ოპერაციის შედეგად არსებობს მიმდინარე ვალდებულება, ამ ოპერაციასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოდან გასვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება განიმარტოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ამ სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება სასამართლო დავების შემთხვევაში მოითხოვს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისაგან სხვადასხვა ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების განსაზღვრას, რომლებიც სცილდება მათი კონტროლის გარემოს ფარგლებს. ორგანიზაცია განიხილავს მნიშვნელოვან სასამართლო დავებს პროცესის წარმოების პარალელურად და მასთან კავშირში და ასევე განიხილავს მათ თითოეული ბალანსის შედგენის თარიღისათვის, რათა შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებებთან დაკავშირებული რეზერვების შექმნის აუცილებლობა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც განხილულ უნდა იქნას რეზერვებთან დაკავშირებით, წარმოადგენს სასამართლო პროცესის ხასიათი, დავა ან ქონებრივი შეფასება, მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, სასამართლო პროცესი (მოიცავს პროცესს ბალანსის

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

შედგენის თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, იურისტების შეხედულებები და აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოცდილება მსგავსს საკითხებში, ასევე ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სასამართლო პროცესის, დავის ან ქონებრივი შეფასების შემთხვევაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა პერიოდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ევროკავშირის მიერ.

ორგანიზაცია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს ლარებში საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ორგანიზაციის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი წესით კორექტირებულია, ფასს-ის სამართლიანი წარდგენისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველია ისტორიული ღირებულება. საანგარიშო პერიოდი ორგანიზაციისთვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ორგანიზაცია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორგანიზაციის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	USD	EUR
კურსი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	1.6567	2.1825
კურსი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	1.7363	2.3891

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია გაცემული სესხების, ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების, მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან

ზარალში ასახვით. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას,

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ თანხებს შორის ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს და ხასიათდებიან ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხების და მოთხოვნების კატეგორია არ მოიცავს:

- (ა) აქტივებს, რომელთა გაყიდვაც ორგანიზაციას განზრახული აქვს დაუყოვნებლივ, ან ახლო მომავალში, და რომლებიც უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც გასაყიდად გამიზნული, და რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აფასებს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) აქტივებს, რომელთაც ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; ან
- (გ) აქტივებს, რომელთა მფლობელებსაც არ შეუძლიათ ფაქტიურად დაფარონ მთელი მათი საწყისი ინვესტიცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია საკრედიტო პირობების გაუარესების გამო, და რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იყოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაციის გაცემული სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაცემულ სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია აფასებს, არის თუ არა რაიმე მინიშნება სესხის ან მოთხოვნების გაუფასურებასთან დაკავშირებით. გაუფასურების რაიმე მინიშნების შემთხვევაში, ორგანიზაცია განსაზღვრავს გაუფასურების ზარალის ოდენობას. სესხებზე და მოთხოვნებზე, რომელთა საბალანსო ღირებულებას წარმოადგენს ამორტიზებადი ღირებულება, გაუფასურების ზარალის თანხა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (არ შედის მომავალი საკრედიტო დანახარჯები, რომლებიც ჯერ არ წარმოშობილა). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. თუ მიმდინარე პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება ობიექტურად იქნება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომ მოვლენასთან (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი დაკომპენსირდება ანარიცხის ანგარიშის დაკორექტირებით. კომპენსირების თანხა არ შევა აქტივის საბალანსო ღირებულებაში იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე ამორტიზებადი ღირებულება იქნებოდა, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო აღიარებული გაუფასურების ზარალის დაკომპენსირების დღეს. კომპენსირების თანხა აღიარდება მოგება-ზარალში.

მენეჯმენტი ქმნის გაცემული სესხების დანაკარგებთან დაკავშირებულ ანარიცხებს თვიურ, კვარტლურ და წლიურ საფუძველზე იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ადეკვატური ანარიცხები საეჭვო სესხებისთვის. სესხებთან დაკავშირებული დანაკარგების ანარიცხები იქმნება გადაუხდელი თანხების დაგვიანების (ხანდაზმულობის) მიხედვით. ისინი ჯგუფდება ბოლო გადახდების მიხედვით. სესხი წარმოადგენს დაგვიანებულს, თუ მისი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის თარიღი გასულია. წინასწარ განსაზღვრული დანაკარგების ანარიცხების პროცენტი გაიანგარიშება მენეჯმენტის მიერ სესხებთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე (სამთვემდე) დეპოზიტებს.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შემენისთვის გადახდის ვალდებულება

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შემენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ორგანიზაციის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის საანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წელი
შენობა-ნაგებობები	10 - 30
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	3 - 5
სატრანსპორტო საშუალებები	6
ავეჯი და ინვენტარი	3 - 5
არამატერიალური აქტივები	5 - 10

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, საანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებისგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გაანეიტრალოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული საგადასახადო აქტივის/ვალდებულების დაფარვის მომენტში.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ორგანიზაციის მიერ მიღებული სესხის გაცემის ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ორგანიზაცია არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი სამსახური.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საქმიანობის უწყვეტობა

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

5. შესადარისი ინფორმაცია

შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება მოხდა წინა პერიოდის უზუსტობის კორექტირებისთვის, რათა მომხდარიყო კლიენტებზე გაცემული სესხების, გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის, საეჭვო სესხების ანარიცხის, მოგების გადასახადის (ხარჯის)/სარგებლის და გაცემულ სესხებზე დარიცხული ჯარიმიდან მიღებული შემოსავლის ფასს-ების მოთხოვნების გათვალისწინებით წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესადარისი ინფორმაცია ასევე რეკლასიფიცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წელთან შესაბამისობისათვის.

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეტანილი კორექტირებების შეჯამება გადაანგარიშებისა და ხელახლა წარმოდგენის შედეგად:

ფინანსური ანგარიშგების არე	ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	ცვლილების შემდეგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ფული და ფულის ეკვივალენტები	558,530	-	-	558,530
კლიენტებზე გაცემული სესხები	4,691,901	(488,725)	-	4,203,175
სხვა აქტივები	22,175	(44)	-	22,131
ძირითადი საშუალებები	169,272	4,372	-	173,644
არამატერიალური აქტივები	40,777	(216)	-	40,562
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	282,100	68,796	-	350,896
საინვესტიციო ქონება	-	(1,535)	52,532	50,997
გასაყიდად გამიზნული აქტივები	52,532	-	(52,532)	-
მიმდინარე მოგების გადასახადი	107,087	(1,156)	-	105,931
მიღებული სესხები	(2,474,375)	65	-	(2,474,310)
სხვა ვალდებულებები	(5,803)	(2,295)	-	(8,098)
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
საპროცენტო შემოსავალი	1,572,120	(69,093)	(24,421)	1,478,606
საპროცენტო ხარჯი	(171,675)	65	93,549	(78,061)
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	(75,323)	(390,570)	(3,098)	(468,991)
სხვა შემოსავალი	-	-	19,299	19,299
სხვა ხარჯი	(9,114)	-	9,114	-
კურთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება/(ზარალი)	(31,083)	122	-	(30,961)
ხელფასები და ბონუსები	-	-	(555,333)	(555,333)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(879,083)	(4,736)	579,985	(303,834)
გაუთვალისწინებელი ხარჯი	(2,000,000)	-	(119,095)	(2,119,095)
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	228,385	68,796	-	297,180

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

6. საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი	2013	2012
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსურ აქტივზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შედგება: გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	1,112,752	1,478,606
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	1,112,752	1,478,606
საპროცენტი ხარჯი		
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსურ ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი შედგება: მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(61,433)	(78,061)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	(61,433)	(78,061)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,051,319	1,400,545

7. ანარიცხები საექვო სესხებზე

ცვლილებები სესხის დანაკარგების ანარიცხებში 2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	2013	2012
საექვო ვალების ანარიცხები 1 იანვარისთვის	(996,793)	(520,562)
ანარიცხები საექვო სესხებზე	(353,764)	(468,991)
ჩამოწერილი სესხების აღდენა	(12,555)	(7,240)
ჩამოწერილი სესხები	12,518	-
საექვო ვალების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(1,350,594)	(996,793)
ინდივიდუალური გაუფასურება	(137,584)	(25,947)
ჯამური გაუფასურება	(1,213,010)	(970,846)

8. სხვა შემოსავალი, ნეტო

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის სხვა შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2013	2012
შემოსავალი ჯარიმიდან	53,999	27,518
მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან	26,550	1,450
მოგება ძირითადი საშუალების გასვლიდან	2,378	2,779
სხვა ხარჯი	(5,650)	(12,449)
შედეგი	77,277	19,298

9. საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი)

საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა ზარალი 2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2013	2012
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(520)	(937)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	84,975	(30,024)
შედეგი	84,455	(30,961)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

10. ხელფასები და ბონუსები

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ხელფასები და ბონუსები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2013	2012
ხელფასის ხარჯი	(478,893)	(495,616)
პრემია	(56,165)	(40,105)
დაზღვევა	(15,006)	(19,612)
	(550,064)	(555,333)

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2013	2012
საწვავის ხარჯი	(62,625)	(85,103)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(51,980)	(53,209)
საკომუნიკაციო ხარჯი	(23,775)	(28,405)
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(22,938)	(33,053)
იჯარა	(22,050)	(23,454)
საწევრო გადასახადი	(18,899)	(17,269)
ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯი	(17,439)	(18,661)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(8,287)	(9,249)
დაცვის ხარჯი	(7,715)	(7,175)
სხვა ხარჯები	(5,907)	(17,374)
საკანცელარიო ხარჯი	(1,844)	(3,410)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(4,139)	(5,295)
მოგების გადასახადისგან განსხვავებული საგადასახადო ხარჯი	(4,631)	(2,177)
	(252,229)	(303,834)

12. გაუთვალისწინებელი ხარჯი

აღნიშნული გაუთვალისწინებელი ხარჯი ორგანიზაციას წარმოეშვა 2012 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში არსებული არაჯანსაღი პოლიტიკური გარემოს ზეგავლენით. ზემოთხსენებულ ხარჯთან დაკავშირებული საქმე გასაჩივრებულია ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ.

13. მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2013	2012
მიმდინარე გადასახადი	-	-
გადავადებული მოგების გადასახადის ეფექტი	(11,919)	297,180
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(11,919)	297,180

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის შესაძლებელია წარდგენილი იყოს შემდეგი ფორმით:

	2013	2012
მოგება დაბეგრამდე	56,994	(2,058,371)
მოგების გადასახადის პროცენტი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(8,549)	308,756
საგადასახადო მიზნებისთვის არგამოქვითული ხარჯების	(3,370)	(11,575)
საგადასახადო ეფექტი	(11,919)	297,180
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(11,919)	297,180

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
ფული ბანკში (საქართველოს ბანკი)	711,093	444,132
ფული ბანკში (ვითიბი ბანკი ჯორჯია)	1,081	114,241
ფული ბანკში (თიბისი ბანკი)	552	157
	712,726	558,530

15. კლიენტებზე გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
სესხის ძირი	4,349,453	4,557,573
დარიცხული პროცენტი	901,050	642,395
	5,250,503	5,199,968
საეჭვო ვალების ანარიცხები	(1,350,594)	(996,793)
გაცემული სესხები	3,899,909	4,203,175

გაცემული სესხები დარგების მიხედვით 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	3,892,181	4,291,357
ვაჭრობა და მომსახურება	740,716	510,242
სამომხმარებლო სესხები	578,262	357,646
სხვა	39,344	40,723
სულ გაცემული სესხები	5,250,503	5,199,968

სესხების უზრუნველყოფების შესახებ ინფორმაცია 2013 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით:

	სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	ვაჭრობა და მომსახურება	სამომხმარებლო სესხები	სხვა	სულ
გაცემული სესხები უზრუნველყოფის გარეშე უზრუნველყოფილი სესხები შემდეგი ქონებით:	855,309	241,445	368,327	3,850	1,468,931
- უძრავი ქონება	2,561,260	446,070	177,531	33,754	3,218,615
- მოძრავი ქონებით	364,409	50,779	7,285	-	422,473
- ოქრო	111,203	2,422	25,119	1,740	140,484
	3,892,181	740,716	578,262	39,344	5,250,503
გამოკლებული:	(1,132,631)	(112,769)	(102,849)	(2,345)	(1,350,594)
გაუფასურების რეზერვი					
სულ გაცემული სესხები	2,759,550	627,947	475,413	36,999	3,899,909

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

15. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების უზრუნველყოფების შესახებ ინფორმაცია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	ვაჭრობა და მომსახურება	სამომხმარებლო სესხები	სხვა	სულ
გაცემული სესხები უზრუნველყოფის გარეშე უზრუნველყოფილი სესხები შემდეგი ქონებით:	766,963	159,250	223,719	2,143	1,152,075
- უძრავი ქონება	2,960,800	309,109	103,222	36,840	3,409,971
- მოძრავი ქონებით	434,821	36,820	3,758	-	475,399
- ოქრო	128,773	5,063	26,947	1,740	162,523
	4,291,357	510,242	357,646	40,723	5,199,968
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(764,946)	(123,773)	(106,334)	(1,740)	(996,793)
სულ გაცემული სესხები	3,526,411	386,469	251,312	38,983	4,203,175

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	ვაჭრობა და მომსახურება	სამომხმარებლო სესხები	სხვა	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული:	1,543,119	404,202	438,389	35,586	2,421,296
1-30 დღის დაგვიანება	206,997	31,866	16,419	-	255,282
31-60 დღის დაგვიანება	43,755	7,297	-	2,018	53,070
61-90 დღის დაგვიანება	27,890	14,601	5,015	-	47,506
91-180 დღის დაგვიანება	109,928	85,749	8,081	-	203,758
181 დღეზე მეტი დაგვიანება	1,960,492	197,001	110,358	1,740	2,269,591
	3,892,181	740,716	578,262	39,344	5,250,503
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,132,631)	(112,769)	(102,849)	(2,345)	(1,350,594)
სულ გაცემული სესხები	2,759,550	627,947	475,413	36,999	3,899,909

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	ვაჭრობა და მომსახურება	სამომხმარებლო სესხები	სხვა	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული:	2,438,975	290,085	229,222	38,983	2,997,265
- 1-30 დღის დაგვიანება	476,369	37,005	5,746	-	519,120
31-60 დღის დაგვიანება	216,107	8,040	3,624	-	227,771
61-90 დღის დაგვიანება	170,537	696	6,085	-	177,318
91-180 დღის დაგვიანება	151,349	45,702	34,206	-	231,257
181 დღეზე მეტი დაგვიანება	838,020	128,714	78,763	1,740	1,047,237
	4,291,357	510,242	357,646	40,723	5,199,968
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(764,946)	(123,773)	(106,334)	(1,740)	(996,793)
სულ გაცემული სესხები	3,526,411	386,469	251,312	38,983	4,203,175

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

15. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხების მოცულობა ერთ პიროვნებაზე ძირითადად მერყეობს \$300-დან \$20,000-მდე (მაქსიმუმ 24,500 დოლარი). ვადიანობა საშუალოდ მოიცავს 1-დან 3 წლამდე პერიოდს (მაქსიმუმ 5 წელი). სესხის ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიური 18%-დან 36%-მდე.

16. საინვესტიციო ქონება

ორგანიზაციის საინვესტიციო ქონება მოიცავს სესხის უზრუნველყოფის სანაცვლოდ მიღებულ უძრავ ქონებას. საინვესტიციო ქონება 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	50,997	37,181
შემოსვლა პერიოდის მანძილზე	62,530	15,351
გასვლა პერიოდის მანძილზე	(29,450)	-
პერიოდის ცვეთა	(3,953)	(1,535)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	80,124	50,997

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მნიშვნელოვნად მისი საბალანსო ღირებულებებისგან.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

17. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება 01.01.2012	92,420	67,400	44,247	195,992	400,059	3,170
შემოსვლა პერიოდის მანძილზე	-	-	-	-	-	43,126
გასვლა პერიოდის მანძილზე	-	-	-	(31,907)	(31,907)	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2012	92,420	67,400	44,247	164,085	368,152	46,296
შემოსვლა პერიოდის მანძილზე	-	2,402	1,218	14,057	17,677	-
გასვლა პერიოდის მანძილზე	-	-	-	(17,105)	(17,105)	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2013	92,420	69,802	45,465	161,037	368,724	46,296
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია						
2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(23,226)	(39,477)	(25,249)	(81,249)	(169,201)	(1,918)
პერიოდის ცვეთა და ამორტიზაცია	(6,087)	(9,342)	(5,551)	(28,413)	(49,393)	(3,816)
გასულის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	24,086	24,086	-
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	(29,313)	(48,819)	(30,800)	(85,576)	(194,508)	(5,734)
პერიოდის ცვეთა და ამორტიზაცია	(6,087)	(7,665)	(4,981)	(24,717)	(43,450)	(4,577)
გასულის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	14,793	14,793	-
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(35,400)	(56,484)	(35,781)	(95,500)	(223,165)	(10,311)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2012	63,107	18,581	13,447	78,509	173,644	40,562
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2013	57,020	13,318	9,684	65,537	145,559	35,985

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

18. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
1 იანვრისთვის	350,896	53,716
აღიარებული მოგება—ზარალში		
საგადასახადო (ხარჯი)/სარგებელი	(11,919)	297,180
31 დეკემბრისთვის	338,977	350,896

გადავადებულ საგადასახადო აქტივთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობები 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში	ცვლილება კაპიტალში
ძირითადი საშუალებები	-	(14,667)	(14,667)	3,359	-
არამატერიალური აქტივები	-	(724)	(724)	(138)	-
საინვესტიციო ქონება	824	-	824	593	-
გაცემული სესხები	202,589	-	202,589	53,070	-
გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი	150,955	-	150,955	(68,803)	-
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	354,368	(15,391)	338,977	(11,919)	-
ურთიერთგადაფარვა	(15,391)	15,391	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	338,977	-	338,977	(11,919)	-

გადავადებულ საგადასახადო აქტივთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს:

	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში	ცვლილება კაპიტალში
ძირითადი საშუალებები	-	(18,026)	(18,026)	6,343	-
არამატერიალური აქტივები	-	(586)	(586)	(586)	-
საინვესტიციო ქონება	231	-	231	231	-
გაცემული სესხები	149,519	-	149,519	71,434	-
გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი	219,758	-	219,758	219,758	-
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	369,508	(18,612)	350,896	297,180	-
ურთიერთგადაფარვა	(18,612)	18,612	-	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	350,896	-	350,896	297,180	-

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

19. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
ფინანსთა სამინისტრო	LIBOR + 2%	USD	302,312	288,451
ფინანსთა სამინისტრო	შიდა ინფლაციას +2.5%	GEL	37,500	37,500
სულ სესხის მიმდინარე ვალდებულება			339,812	325,951
გრძელვადიანი სესხი				
ფინანსთა სამინისტრო	LIBOR + 2%	USD	1,662,620	1,874,852
ფინანსთა სამინისტრო	შიდა ინფლაციას +2.5%	GEL	206,250	243,750
სულ გრძელვადიანი სესხი			1,868,870	2,118,602
სულ ვალდებულება - ძირი			2,208,682	2,444,553

გადასახდელი პროცენტი			2013	2012
ფინანსთა სამინისტრო	LIBOR + 2%	USD	19,804	23,803
ფინანსთა სამინისტრო	შიდა ინფლაციას +2.5%	GEL	5,109	5,954
სულ გადასახდელი პროცენტი			24,913	29,757
სულ ვალდებულება			2,233,595	2,474,310

20. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012 (გადაანგარიშებული)
მსო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	17,700	-
კრედიტორული დავალიანება	3,906	5,803
სხვა ვალდებულებები	3,761	2,295
	25,367	8,098

21. სააქციო კაპიტალი

2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის სააქციო კაპიტალი შეადგენს 3,671,370 ლარს, ხოლო აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი. სააქციო კაპიტალი დანაწევრებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციებად. ყოველი ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია ერთი ხმის უფლება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებაზე.

22. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ორგანიზაციას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლებელია რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
ფული ბანკში	712,726	558,530
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,899,909	4,203,175
	4,612,635	4,761,705

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
მიღებული სესხები	2,233,595	2,474,310
	2,233,595	2,474,310

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

ორგანიზაციის აქციონერები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, აქციონერთა მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა გენერალურ დირექტორსა და საკრედიტო კომიტეტზე.

აქციონერების საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისოს რისკების მართვაში. ორგანიზაციისთვის საკრედიტო რისკი დგება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ სასესხო ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დაზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციაში წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულია საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც საკრედიტო კომიტეტი ახორციელებს.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოდგენს მისო-ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ.

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა მოიცავს ორგანიზაციის შესაბამისი ფილიალის მმართველს, საკრედიტო განყოფილების უფროსს და საკრედიტო ექსპერტს.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესხო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ სესხის განაცხადს და იღებენ გადაწყვეტილებას.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე. ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავ-მომრავი ქონებით.

გაცემული სესხების მონიტორინგი და ამის საფუძველზე მსესხებელთა გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ზარალის მიღების რისკი.

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

22.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მონიტორინგს ახორციელებენ სესხის ოფიცრები და მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. ორგანიზაციაში დაგვიანებულ სესხად ითვლება მსესხებლის მიერ გრაფიკის მიხედვით დასაბრუნებელი სესხის ძირის ყველა ის ნაწილი, რომლის გადახდაც არ განხორციელებულა

მოცემული გრაფიკით გათვალისწინებულ დროს, ან მოხდა დასაფარი თანხის არასრულად გადახდა. ის საბაზრო სეგმენტი, რომელზეც ორიენტირებულია ორგანიზაცია, ხასიათდება გადახდისუნარიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებლით. აღნიშნული ზოგადი საკრედიტო რისკის გასაწესებლად ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავ/მოძრავი ქონებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალება ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტის აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. ორგანიზაცია ყველა სესხს გასცემს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად, არ დგას იმ რისკის წინაშე, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად დაკარგოს დაგეგმილი მისაღები საპროცენტო სარგებლის თუნდაც რაიმე ნაწილი.

ორგანიზაციას აქვს სესხები აღებული ფინანსთა სამინისტროსგან ლარში და დოლარში. სესხების საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია LIBOR-სა (ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთი) და ინფლაციის შიდა განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი დოლარი 1 =1.7363 ლარი	ევრო ევრო 1 =2.3891 ლარი	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	712,726	-	-	712,726
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,325,653	2,574,256	-	3,899,909
მთლიანი ფინანსური აქტივები	2,038,379	2,574,256	-	4,612,635
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	248,859	1,984,736	-	2,233,595
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	248,859	1,984,736	-	2,233,595
ღია საბალანსო პოზიცია	1,789,520	589,520	-	

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

22.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი 1=1.6567 ლარი	ევრო 1=2.1825 ლარი	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	558,530	-	-	558,530
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,091,218	3,095,485	16,472	4,203,175
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,649,748	3,095,485	16,472	4,761,705
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	287,204	2,187,106	-	2,474,310
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	287,204	2,187,106	-	2,474,310
ღია საბალანსო პოზიცია	1,362,544	908,379	16,472	

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 10%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 10% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

2013 და 2012 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

მოგება/ზარალი	აშშ დოლარის ეფექტი 2013		აშშ დოლარის ეფექტი 2012	
	ლარი/დოლარი 10%	ლარი/დოლარი - 10%	ლარი/დოლარი 10%	ლარი/დოლარი - 10%
	58,952	(58,952)	90,838	(90,838)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	2,910,847	989,062	-	3,899,909
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	2,910,847	989,062	-	3,899,909
ფული და ფულის ეკვივალენტები	712,726	-	-	712,726
სულ ფინანსური აქტივები	3,623,573	989,062	-	4,612,635
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	364,725	1,868,870	-	2,233,595
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	364,725	1,868,870	-	2,233,595
სულ ფინანსური ვალდებულებები	364,725	1,868,870	-	2,233,595
ლიკვიდურობის სხვაობა	3,258,848	(879,808)	-	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	3,258,848	2,379,040	2,379,040	

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფინაგრო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,267,497	935,678	-	4,203,175
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივები	3,267,497	935,678	-	4,203,175
ფული და ფულის ექვივალენტები	558,530	-	-	558,530
სულ ფინანსური აქტივები	3,826,027	935,678	-	4,761,705
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	355,708	2,118,602	-	2,474,310
სულ პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები	355,708	2,118,602	-	2,474,310
სულ ფინანსური ვალდებულებები	355,708	2,118,602	-	2,474,310
ლიკვიდურობის სხვაობა	3,470,319	(1,182,924)	-	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	3,470,319	2,287,395	2,287,395	

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

ორგანიზაცია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ორგანიზაცია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

24. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მოგება-ზარალის მუხლი	2013		2012	
	დაკავშირებულ მხარესთან ოპერაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ოპერაცია	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
შრომის ანაზღაურება	(66,600)	(550,064)	(47,368)	(555,333)